სპონსორთა უფლებათა დეკლარაცია

ეს დოკუმენტი მიღებულია, აღიარებულია და დაცულია კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურისა და კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიერ

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური და კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია (ტექსტში მოხსენებული როგორც „ასოციაცია“) ემსახურება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა საქმიანობა ასოცირდება უნივერსიტეტთან და ხელს უწყობს მის განვითარებას.
ისინი ხელს უწყობენ კურსდამთავრებულების გამართულ კავშირს უნივერსიტეტთან, რათა მათ შეძლონ წვლილის შეტანა უნივერსიტეტის განვითარებასა და წარმატებაში. მისი მიზანია უნივერსიტეტის და მისი კურსდამთვრებულების იმიჯის წარმოჩენა, როგორც გარე, ასევე შიდა აუდიტორიის წინაშე, შესაბამისი ღონისძიებების და აქტივობების განსაზღვრა და შესრულება.
კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახური და კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია არ არის მოგებაზე ორიენტირებული.
ასოციაცია ფინანსდება, უნივერსიტეტის, სპონსორებისა და მოხალისე კურსდამთავრებულთა მიერ მოზიდული სახსრებიდან.

სპონსორების მხრიდან ჩვენს მიმართ სრული ნდობის უზრუნველსაყოფად, მათ გარანტირებული აქვთ შემდეგი უფლებები:

- კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახურისა და კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიერ წინასწარ გაცხადებული ფასეულობები და ხედვა იქნება დაცული და არ შეიცვლება;
- ამომწურავი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროექტების განმახორციელებელი წევრების ვინაობაზე;
- ფინანსური გამჭვირვალობა;
- პასუხი დამატებით კითხვებზე ან მოთხოვნა ინფორმაციის შესახებ განხილული და დაკმაყოფილებული იქნება დროულად და სრულყოფილად;
- შემოსული თანხები გამოყენებული იქნება თავდაპირველი მიზნებისთვის;
- სპონსორების შესახებ ინფორმაცია დაცული იქნება მაქსიმალური კონფიდენციალურობით ან გაცხადებული, მათი სურვილის შესაბამისად.